ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5697647

ნომერი: AR1863318

თარიღი : 19.11.2021

გაცემის თარიღი : 24.11.2021

გაცნობის თარიღი : 24.11.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ბაბალაშვილი პ/ნ 01010018167
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრო/რაიონი, კვარტალი II, კორპუსი 5, ბინა 7

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს მარილი 2020
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404595274
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ბექა ბაბალაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010018167

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3493.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 8507.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 254156.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 250956.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 3200.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 33.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 29.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 19 ნოემბრის AR1863318 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზ. N12-ში არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაშ გამოვლინდა ხარვეზრბი, კერძოდ:
1..დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. : -
- არ არის წარმოდგენილი სადემონტაჟო შენობების ანაზომები (გეგმები, ჭრილები, გასადები); ანაზომები დაინომროს საკადასტრო გეგმის შესაბამისად;
- განმარტებით ბარათში არ არის სადემონტაჟო შენობების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები;
- სადემონტაჟო გენგეგმაზე შენობები არ შეესაბამება საკადასტრო გეგმას (მდებარეობა);
- დემონტაჟის პროექტის ტექსტურ ნაწილში აღნიშნულია, რომ შენობების დემონტაჟის დროს შენარჩუნდება მხოლოდ სარდაფის სართული (გადახურვის გარეშე) და შენობის საძირკვლები. სადემონტაჟო შენობის შენარჩუნებული მიწისქვეშა ნაწილის დემონტაჟი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ხიმინჯების მესერის („ფარდა“) მოწყობის შემდეგ; ხიმინჯების ფარდის მოწყობა გათავლისწინებული იქნეს ეტაპებში და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი სქემა/გენგეგმა საკადასტრო საზღვრებისა და ხიმინჯების ფარდის ჩვენებით);
2. წარმოდგენილი იქნეს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები სხვადახვა ხედიდან, დღეის მდგომარეობით, დათარიღებული;
3. არ არის წარმოდგენილი სამომავლოდ განვითარების ესკიზი; საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ფოტომონტაჟები სხვადასხვა ხედიდან რეალურ განაშენიანებაში ჩვენებით, მასალის, ნიშნულების, ფერის კოდის მითითებით; დამატებით წარმოდგენილ იქნას საპროექტო და მომიჯნავე შენობა-ნაგებობის ფასადების ესკიზური განშლები (მომიჯნავე შენობების ფასადები შესაძლებელია დატანილ იქნას მხოლოდ კონტურების სახით) , რომელზეც დატანილი იქნება აბსოლიტური ნიშნულები როგორც ყველაზე დაბალ, ასევე ყველაზე მაღალ წერტილებში.
4. არ არის წარმოდგენილი ისტორიულ-არქიტექტურული, ანალიტიკური ინფორმაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა);
5.დროებით სამშენებლო ღობისა და გასასვლელის მოწყობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა;
6. არ არის წარმოდგენილი ბანერის ფოტო.
7. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს თანამესაკუთრის სს „სილქნეტის“ უპირობო თანხმობა დემონტაჟთან დაკავშირებით;
8.წარმოდგენილი იქნას დღეის მდგომარებოით შესრულებული კონსტრუქციული დასკვნები.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად

გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.